

2024 წლის 15 მაისი

სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტის"

პასუხისმგებელი პირების განცხადება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება და ამავე წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია სს "მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტის" მიერ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნების საფუძველზე.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს კომპანიის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს.
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ბიზნესისა და კომპანიის პოზიციის განვითარების, საქმიანობის შედეგებისა და პირობების სამართლიან მიმოხილვას, ძირითადი რისკებისა და განუსაზღვრელობების აღწერას.

პასუხისმგებელი პირების განცხადება დამტკიცებულია კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის მიერ.

გენერალური დირექტორი

მიხეილ ნონიკაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

შაი შალომ

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მაიკლ კაგანოვიჩი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

მაია ხელაძე

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი”

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა

2023 წლის 31 დეკემბერს

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
--------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	12
2. მომზადების საფუძვლები	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	15
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	16
5. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
6. კლიენტებზე გაცემული სესხები	21
7. გადასახადები.....	24
8. აქტივების გამოყენების უფლება.....	25
9. ძირითადი საშუალებები.....	25
10. საგადასახადო ვალდებულებები	26
11. მიღებული და სუბორდინირებული სესხები.....	26
12. სხვა შემოსავლები.....	27
13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ანაზღაურება.....	28
14. სხვა საოპერაციო ხარჯები	28
15. პირობითი ვალდებულებები	28
16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	29
17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30
18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტის” აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს “მისი ევრო კრედიტის” (შემდგომში - ორგანიზაცია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ.

აუდიტის ძირითადი საკითხები	როგორ მივეუდევით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
მომხმარებლებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	
ამ საკითხზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ ხელმძღვანელობის შეფასებები მომხმარებლებზე გაცემული სესხებისთვის შექმნილ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვთან დაკავშირებით კომპლექსურია, მათში მნიშვნელოვანი დოზით მონაწილეობს განსჯა და ისინი ექვემდებარება შეფასების მაღალი დონის განუსაზღვრელობას. ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიხედვით, ხელმძღვანელობას მოეთხოვება	ჩვენ შევისწავლეთ და შევაფასეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრის კონტროლის მთავარი მექანიზმები და შევამოწმეთ მათი საოპერაციო ეფექტურობა. კონტროლის ეს მექანიზმები, სხვებთან ერთად, შემდეგსაც მოიცავს: – მოდელის ეფექტურობის მონიტორინგის კონტროლი, პოლიტიკის და მოდელების პერიოდული გადახედვის ჩათვლით, მოდელის საპროგნოზო შეფასებების შედარება რეალურად

საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრა, რომლის დადგომა მოსალოდნელია 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი ვადის მანძილზე, ცალკეული აქტივისთვის მინიჭებული სტადიიდან გამომდინარე. ესა თუ ის სტადია განისაზღვრება იმის შეფასებით, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა (საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა) ან აღმოჩნდა თუ არა მსესხებელი დეფოლტის სიტუაციაში სესხის გაცემის შემდეგ. ხელმძღვანელობის მიერ ასეთი შეფასებებისას გამოყენებული ზოგიერთი კრიტერიუმი ძალზე სუბიექტური ხასიათისაა და მოიცავს მსესხებლების კრედიტუნარიანობის ხარისხობრივ შეფასებას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას ასევე საჭიროა სამომავლო მაკროეკონომიკური პირობების გავლენის გათვალისწინება. ეკონომიკური პერსპექტივა სტაბილურია ინფლაციური ზეწოლების მიუხედავად.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოდელის მეთოდოლოგიები მართებულია და მოდელირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრისას გამოყენებული შემდეგი განსჯა მნიშვნელოვანია:

- საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასადგენად გამოყენებული, განსჯაზე დიდწილად დამოკიდებული კრიტერიუმები, რაც მოიცავს მსესხებლების კრედიტუნარიანობის შეფასებას;

- დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის გამოყენებული კრიტიკული დაშვებები.

დამდგარ (ფაქტობრივ) შედეგებთან და მოდელის მეთოდოლოგიაში ცვლილებების დამტკიცება;

- ძირითადი განსჯის და დაშვებების გადახედვა და დამტკიცება, რომლებიც გამოიყენება დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის;

- გამოთვლითი ინსტრუმენტების მეშვეობით ძირითადი პარამეტრების (როგორცაა დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში) გაანგარიშების კონტროლი;

- მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის კონტროლი; და

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების და შედეგების ანალიზის კონტროლი.

ჩვენ არ აღმოგვიჩენია რამე გამონაკლისი ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმების მოწყობის ან საოპერაციო ეფექტურობის მხრივ. გარდა ამისა, ჩვენ ჩავატარეთ ქვემოთ აღწერილი ძირითადი პროცედურები.

შევაფასეთ, ხელმძღვანელობის მიერ ფასს 9-ის მიხედვით შემუშავებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის მეთოდოლოგიები რამდენად მართებული იყო. ამასთანავე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული სუბიექტური კრიტერიუმები იმის დასადგენად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და კრიტიკული განსჯა და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის. ჩვენ დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის განსჯა, რომლის საფუძველზეც ფასდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში და დეფოლტის ალბათობა გონივრულია.

ჩვენ დამოუკიდებლად შევამოწმეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა და შევაფასეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა შესაბამისობაში იყო თუ არა დამტკიცებულ მოდელის მეთოდოლოგიასთან.

შევაფასეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალთან დაკავშირებული განმარტებები და მათი შესაბამისობა ფასს-ების მოთხოვნებთან.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის

რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ორგანიზაციის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გვაქმავთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 მაისი 2024

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტის” აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს “მისო ევრო კრედიტის” (შემდგომში - ორგანიზაცია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ.

აუდიტის ძირითადი საკითხები	როგორ მივუძღვეთ აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
მომხმარებლებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	
ამ საკითხზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ ხელმძღვანელობის შეფასებები მომხმარებლებზე გაცემული სესხებისთვის შექმნილ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის რეზერვთან დაკავშირებით კომპლექსურია, მათში მნიშვნელოვანი დოზით მონაწილეობს განსჯა და ისინი ექვემდებარება შეფასების მაღალი დონის განუსაზღვრელობას. ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიხედვით, ხელმძღვანელობას მოეთხოვება საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრა, რომლის დადგომა მოსალოდნელია 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში ან აქტივის დარჩენილი ვადის მანძილზე, ცალკეული აქტივისთვის მინიჭებული სტადიიდან გამომდინარე. ესა თუ ის	ჩვენ შევისწავლეთ და შევაფასეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრის კონტროლის მთავარი მექანიზმები და შევამოწმეთ მათი საოპერაციო ეფექტურობა. კონტროლის ეს მექანიზმები, სხვებთან ერთად, შემდეგსაც მოიცავს: – მოდელის ეფექტურობის მონიტორინგის კონტროლი, პოლიტიკის და მოდელების პერიოდული გადახედვის ჩათვლით, მოდელის საპროგნოზო შეფასებების შედარება რეალურად დამდგარ (ფაქტობრივ) შედეგებთან და მოდელის მეთოდოლოგიაში ცვლილებების დამტკიცება; – ძირითადი განსჯის და დაშვებების გადახედვა და დამტკიცება, რომლებიც გამოიყენება დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის

სტადია განისაზღვრება იმის შეფასებით, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა (საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა) ან აღმოჩნდა თუ არა მსესხებელი დეფოლტის სიტუაციაში სესხის გაცემის შემდეგ. ხელმძღვანელობის მიერ ასეთი შეფასებებისას გამოყენებული ზოგიერთი კრიტერიუმი ძალზე სუბიექტური ხასიათისაა და მოიცავს მსესხებლების კრედიტუნარიანობის ხარისხობრივ შეფასებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას ასევე საჭიროა სამომავლო მაკროეკონომიკური პირობების გაველების გათვალისწინება. ეკონომიკური პერსპექტივა სტაბილურია ინფლაციური ზეწოლების მიუხედავად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოდელის მეთოდოლოგიები მართებულია და მოდელირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრისას გამოყენებული შემდეგი განსჯა მნიშვნელოვანია: – საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასადგენად გამოყენებული, განსჯაზე დიდწილად დამოკიდებული კრიტერიუმები, რაც მოიცავს მსესხებლების კრედიტუნარიანობის შეფასებას; – დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის გამოყენებული კრიტიკული დაშვებები.	ალბათობის განსაზღვრისთვის; – გამოთვლითი ინსტრუმენტების მეშვეობით ძირითადი პარამეტრების (როგორიცაა დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში) გაანგარიშების კონტროლი; – მსესხებლების ფინანსური მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგის კონტროლი; და – მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების და შედეგების ანალიზის კონტროლი. ჩვენ არ აღმოგვიჩენია რამე გამონაკლისი ზემოაღნიშნული კონტროლის მექანიზმების მოწყობის ან საოპერაციო ეფექტურობის მხრივ. გარდა ამისა, ჩვენ ჩავატარეთ ქვემოთ აღწერილი ძირითადი პროცედურები. შევაფასეთ, ხელმძღვანელობის მიერ ფასს 9-ის მიხედვით შემუშავებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის მეთოდოლოგიები რამდენად მართებული იყო. ამასთანავე შევაფასეთ ხელმძღვანელობის მიერ დაწესებული სუბიექტური კრიტერიუმები იმის დასადგენად, მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და კრიტიკული განსჯა და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია დეფოლტის შემთხვევაში ზარალის და დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის. ჩვენ დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის განსჯა, რომლის საფუძველზეც ფასდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ზარალი დეფოლტის შემთხვევაში და დეფოლტის ალბათობა გონივრულია. ჩვენ დამოუკიდებლად შევამოწმეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა და შევაფასეთ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა შესაბამისობაში იყო თუ არა დამტკიცებულ მოდელის მეთოდოლოგიასთან. შევაფასეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალთან დაკავშირებული განმარტებები და მათი შესაბამისობა ფასს-ების მოთხოვნებთან.
---	--

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვსი ქვეშ დააყენოს ორგანიზაციის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ორგანიზაცია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 მაისი 2024

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	2,093,893	1,383,154
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	67,666,671	56,513,261
სხვა აქტივები		297,639	477,189
გადავადებული საგადასახადო აქტივი	7	-	1,241,203
აქტივის გამოყენების უფლება	8	2,860,215	1,949,709
ძირითადი საშუალებები	9	451,947	411,031
სულ აქტივები		73,370,365	61,975,547
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		776,903	331,281
საგადასახადო ვალდებულება	10	112,723	816,822
საიჯარო ვალდებულებები	8	2,550,256	1,611,016
მიღებული სესხები	11	9,722,211	9,015,948
სუბორდინირებული სესხები	11	17,607,056	17,740,310
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	7	50,213	-
სულ ვალდებულებები		30,819,362	29,515,377
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1,000,000	1,000,000
გაუნაწილებელი მოგება		41,551,003	31,460,170
მთლიანი კაპიტალი		42,551,003	32,460,170
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		73,370,365	61,975,547

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 15 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მიხეილ ნონიკაშვილი

ფინანსური მენეჯერი

ირაკლი გურგენიძე

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	2,093,893	1,383,154
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	67,666,671	56,513,261
სხვა აქტივები		297,639	477,189
გადავადებული საგადასახადო აქტივი	7	-	1,241,203
აქტივის გამოყენების უფლება	8	2,860,215	1,949,709
ძირითადი საშუალებები	9	451,947	411,031
სულ აქტივები		73,370,365	61,975,547
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		776,903	331,281
საგადასახადო ვალდებულება	10	112,723	816,822
საიჯარო ვალდებულებები	8	2,550,256	1,611,016
მიღებული სესხები	11	9,722,211	9,015,948
სუბორდინირებული სესხები	11	17,607,056	17,740,310
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	7	50,213	-
სულ ვალდებულებები		30,819,362	29,515,377
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1,000,000	1,000,000
გაუნაწილებელი მოგება		41,551,003	31,460,170
მთლიანი კაპიტალი		42,551,003	32,460,170
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		73,370,365	61,975,547

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 15 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ მიხეილ ნონიკაშვილი

ფინანსური მენეჯერი _____ ირაკლი გურგენიძე

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი		25,847,482	20,740,706
საპროცენტო ხარჯი		(4,355,015)	(3,708,134)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		21,492,467	17,032,572
გაუფასურების ხარჯი	6	(2,616,669)	(5,847,897)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		18,875,798	11,184,675
სხვა შემოსავალი	12	4,653,338	4,181,482
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ანაზღაურება	13	(4,917,737)	(4,055,622)
სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(4,722,009)	(4,412,855)
ცვეთა და ამორტიზაცია		(870,899)	(859,810)
მოგება გაცვლითი კურსის სხვაობისგან		409,809	2,926,176
მოგება დაბეგრამდე		13,428,300	8,964,046
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(3,337,467)	(601,571)
მთლიანი სრული შემოსავალი		10,090,833	8,362,475

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს	1,000,000	23,097,695	24,097,695
მთლიანი სრული შემოსავალი	-	8,362,475	8,362,475
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,000,000	31,460,170	32,460,170
მთლიანი სრული შემოსავალი	-	10,090,833	10,090,833
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერს	1,000,000	41,551,003	42,551,003

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	13,428,300	8,964,046
ცვლილებები:		
ცვლილება საპროცენტო შემოსავალში	(714,585)	(753,254)
ცვლილება საპროცენტო ხარჯში	438,430	104,304
სესხის გაუფასურების ხარჯი	2,616,669	5,847,897
ცვეთა და ამორტიზაცია	870,899	859,810
წმინდა მოგება საკუროსო სხვაობიდან	(409,809)	(2,926,176)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში ცვლილებამდე	16,229,904	12,096,627
მოძრაობა საბრუნავ საშუალებებში:		
გაცემული სესხები	(13,054,076)	(15,295,516)
სხვა აქტივები	179,550	(433,408)
საგადასახო ვალდებულებები	(26,223)	20,811
სხვა ვალდებულებები	445,622	63,121
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე	3,774,777	(3,548,365)
გადახდილი მოგების გადასახადი	(2,723,927)	(1,825,817)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,050,850	(5,374,182)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(147,720)	(118,751)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(147,720)	(118,751)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხების მიღება	3,372,929	13,677,075
სესხების დაფარვა	(2,654,970)	(10,107,656)
საიჯარო ვალდებულებები	(889,589)	(911,678)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(171,630)	2,657,741
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა/(შემცირება)	731,500	(2,835,192)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,383,154	4,266,053
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(20,761)	(47,707)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,093,893	1,383,154

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ორგანიზაციის მიერ მიღებულმა საპროცენტო შემოსავლებმა შეადგინა შესაბამისად, 25,804,219 და 20,661,630 ლარი.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ორგანიზაციის მიერ გადახდილმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა შესაბამისად, 3,916,585 და 3,603,831 ლარი.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ორგანიზაცია

სს “მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი” არის სააქციო საზოგადოება („ორგანიზაცია“), რომელიც 2011 წლის 22 ნოემბერს დარეგისტრირდა საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404919102.

ორგანიზაცია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი (“სებ”).

ძირითადი საქმიანობის ფარგლებში ორგანიზაცია მომხმარებელს სთავაზობს მიკრო და მცირე სესხებს (უზრუნველყოფილს ავტომანქანებით).

ორგანიზაციის მმართველი ორგანო არის პარტნიორთა საერთო კრება. ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობა ყველა ფილიალში ხორციელდება ფილიალის მენეჯერის მიერ, რომელსაც წარადგენს აღმასრულებელი დირექტორი და ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციას ჰქონდა 11 ფილიალი საქართველოს მთავარ ქალაქებში.

აქციონერები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქციონერები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ZUK CHINA STONE WORKS LIMITED	75.51%	75.51%
D.Mody Properties LTD	7.99%	7.99%
Grenikasi Yosef Reuven	6.5%	6.5%
Benish Meni	5%	5%
Duenias Oren Abraham	3%	3%
Duenias Eyal	2%	2%
	100%	100%

მოშე ზუკი იყო ორგანიზაციის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ორგანიზაციის ოფისი მდებარეობს სააკადის ქუჩის 10, მე-2 შესახვევი, თბილისი, საქართველო.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში, ფასს-ების) შესაბამისად.

ორგანიზაცია თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, რომელიც ასევე ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს. ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ორგანიზაციის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-3 შენიშვნაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მზღვეველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

ფასს 17-ის გამოცემის შემდეგ, სტანდარტში შევიდა შესწორებები და გადავადდა ძალაში შესვლის თარიღი.

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. ადრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაზუსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით.

გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება). 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დამატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვს არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბას 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დაკმაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციების საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაიწია ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვრიდან.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

გ) სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სხვა

კომპანიის ხელმძღვანელობას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტორები შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ანარიცხის შეფასება

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ზარალი ვალდებულების შესრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშვება დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი, სესხის უზრუნველყოფიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადების გათვალისწინებით.
- საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ორგანიზაცია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

იჯარის ვადები, ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა და საიჯარო გადახდები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ორგანიზაცია აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. საწარმო ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საქართველოსთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ იჯარის განახლების შესაძლებლობა განიხილება ბიზნეს პროცესების შესწავლიდან გამომდინარე და არა კონტრაქტში განსაზღვრული პირობის მიხედვით. ასეთ შემთხვევებში, საიჯარო ვალდებულების საწყისი აღიარება გულისხმობს სამომავლო გადახდების დაანგარიშებას მიმდინარე სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ორგანიზაცია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ორგანიზაცია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე, იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებითი გადასახადების და პროცენტის დარიცხვას. ორგანიზაცია დარწმუნებულია, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახადო დეკლარაციების დასაბუთება, თუმცა მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად ორგანიზაცია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ორგანიზაცია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისთვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ორგანიზაცია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ორგანიზაციის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ.

საქმიანობის პროცესში ორგანიზაცია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ორგანიზაცია დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული და ფულის ექვივალენტები	2,093,893	1,383,154
გაცემული სესხები	67,666,671	56,513,261
საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	69,760,564	57,896,415

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით. PD-ს გაანგარიშება ხორციელდება სამი წლის საშუალო და შემდეგ 1 წლის მონაცემების დამატებით და საბოლოო PD მიიღება მიგრაციის მატრიცების ექსტრაპოლაციის გამოყენებით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო PD-ში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 4,37%-ით, რაც შეადგენს 332,663/ (332,663) ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო PD-ში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 5,88%-ით, რაც შეადგენს 322,538/ (322,538) ლარს.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD არის სავარაუდო ზარალის მასშტაბი დეფოლტის შემთხვევაში. ორგანიზაცია აფასებს LGD-ს პარამეტრებს სესხის აღდგენის ისტორიაზე დაყრდნობით, დეფოლტის გამომწვევი მიზეზების საპირწონედ. LGD მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ ფულადი სახსრების დაბრუნებას. LGD-ს დაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორად ევექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო LGD-ში თითოეული სეგმენტის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 10%-ით, რაც შეადგენს 655,022/(655,022) ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 10% იანი ზრდა/(კლება) საშუალო LGD-ში თითოეული სეგმენტის ჭრილში იწვევს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას/(კლებას) 10%-ით, რაც შეადგენს 549,467/(549,467) ლარს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ორგანიზაცია მუდმივად ახორციელებს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესს. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
სხვა ვალდებულებები	776,903	-	776,903
საიჯარო ვალდებულებები	958,053	1,962,544	2,920,597
მიღებული სესხები	5,963,531	5,337,500	11,301,031
სუბორდინირებული სესხები	10,231,934	14,833,000	25,064,934
	17,930,421	22,133,044	40,063,465

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
სხვა ვალდებულებები	331,281	-	331,281
საიჯარო ვალდებულებები	776,456	941,011	1,717,467
მიღებული სესხები	9,286,683	498,358	9,785,041
სუბორდინირებული სესხები	2,127,772	22,014,633	24,142,405
	12,522,192	23,454,002	35,976,194

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ორგანიზაცია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,084,748	9,145
გაცემული სესხები	67,666,671	-
სულ ფინანსური აქტივები	69,751,419	9,145
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	9,721,211	-
სუბორდინირებული სესხები	17,607,056	-
საიჯარო ვალდებულებები	785,366	1,764,890
სხვა ვალდებულებები	776,903	-
სრული ფინანსური ვალდებულებები	28,891,536	1,764,890
ღია საბალანსო პოზიცია	40,859,883	(1,755,745)

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ორგანიზაციაზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,075,891	307,263
გაცემული სესხები	56,513,261	-
სულ ფინანსური აქტივები	57,589,152	307,263
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	8,521,936	494,012
სუბორდინირებული სესხები	-	17,740,310
საიჯარო ვალდებულებები	176,428	1,434,588
სხვა ვალდებულებები	331,281	-
სრული ფინანსური ვალდებულებები	9,029,645	19,668,910
ღია საბალანსო პოზიცია	48,559,507	(19,361,647)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ორგანიზაციის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტის 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. მოგებაზე გავლენა მოგება/ზარალის უწყისსა და კაპიტალზე ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების საფუძველზე 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დოლარის ცვლილების ეფექტი (ლარი / დოლარი)	
მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებაზე	2023	2022
20% ზრდა	(351,149)	(3,872,329)
20% შემცირება	351,149	3,872,329

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ორგანიზაციას მიღებული აქვს სესხი დაკავშირებული მხარისგან ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად რისკი არის შემცირებული მისაღებ დონემდე.

ორგანიზაციას ასევე მიღებული აქვს სესხები ბანკებისგან ცვლადი საპროცენტო განაკვეთით (იხილეთ მე-11 შენიშვნა). კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს საპროცენტო განაკვეთებს, რომელიც იცვლება NBG საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

განხორციელებული სიმულაციების საფუძველზე საპროცენტო განაკვეთის 100 საბაზისო ერთეულით ცვლილების შემთხვევაში, მოგებაზე ან ზარალსა და კაპიტალზე გავლენა (საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მაქსიმალური გონივრული მოლოდინი) წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

	ზრდა	შემცირება
მოგება/ (ზარალი)	(95,038)	95,038

კაპიტალის მართვა

ორგანიზაციის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ორგანიზაციამ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ორგანიზაცია რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ორგანიზაცია მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

ორგანიზაციას ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან აქვს დაწესებული ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც უნდა შეასრულოს, აღნიშნული ფინანსური კოეფიციენტები მოცემულია ცხრილში:

აფი 1-ის მიერ დაწესებული ფინანსური კოეფიციენტები	2023	არღვევს
30 დღიანი ვადაგადაცილებული სესხების შეფარდება პორტფელთან	<35%	არა
90 დღიანი ვადაგადაცილებული სესხების შეფარდება პორტფელთან	<33%	არა
მთლიანი რესტრუქტურიზებული სესხების შეფარდება პორტფელთან	<10%	არა
საოპერაციო ხარჯების შეფარდება შემოსავალთან.	<45%	არა
საოპერაციო ხარჯების შეფარდება მთლიან პორტფელთან	<20%	არა
არაუზრუნველყოფილი სესხების შეფარდება მთლიან პორტფელთან	<20%	არა
გაწიოს ნებისმიერი კაპიტალური დანახარჯი, რომელიც აღემატება 50,000 აშშ დოლარს ერთჯერადად ან მთლიანობაში	< 50,000 დოლარი	კი
აფი 2-ის მიერ დაწესებული ფინანსური კოეფიციენტები	2023	არღვევს
არაუზრუნველყოფილი სესხების შეფარდება მთლიან პორტფელთან	<10%	არა
მთლიანი რესტრუქტურიზებული სესხების შეფარდება პორტფელთან	<5%	არა
კლიენტის ფულადი ვალდებულება შეფარდებული პორტფელთან	<0.175	არა
კლიენტის ფულადი ვალდებულება შეფარდებული კაპიტალთან	<50%	არა
საოპერაციო შემოსავლის შეფარდება ფინანსურ ხარჯებთან და სხვა ხარჯებთან, რომელიც დაკავშირებულ მხარეებთან აქვს	<1.2	არა
კლიენტის ვადაგადაცილებული პორტფელის ნაწილი შეფარდებული PAR 30-თან	>0,86	არა

ორგანიზაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არღვევს ერთ ფინანსური კოეფიციენტს. შესაძლო შედეგები, რაც შეიძლება მოყვას ფინანსური კოეფიციენტების დარღვევას გამოწვევს მე-15 შენიშვნაში.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	1,612,298	815,361
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	11,801	307,449
ფული გზაში	469,794	260,344
	2,093,893	1,383,154

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით გაშიფრულია მე-4 შენიშვნაში.

6. კლიენტებზე გაცემული სესხები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მთლიანი გაცემული სესხები	75,272,263	61,999,429
მინუს: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(7,605,592)	(5,486,168)
სულ გაცემული სესხები	67,666,671	56,513,261

გაცემული სესხების შესახებ ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

31 დეკემბერი 2023			
გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი	სესხები გაუფასურებამდე	მოსალოდნელი ზარალი, %	სესხები გაუფასურების შემდეგ
სესხები ინდივიდუალური გაუფასურების ნიშნის გარეშე	65,352,951	(2,841,747)	62,511,204
30 დღემდე გადაცილება	2,749,780	(343,522)	2,406,258
30–60 დღის ვადაგადაცილება	754,869	(198,463)	556,406
60–90 დღის ვადაგადაცილება	476,305	(181,079)	295,226
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	5,621,890	(3,946,230)	1,675,660
რესტრუქტურირებული (90 დღეზე ნაკლები)	238,003	(25,630)	212,373
რესტრუქტურირებული (90 დღეზე მეტი)	78,465	(68,921)	9,544
სულ გაცემული სესხები	75,272,263	(7,605,592)	67,666,671

გაცემული სესხების შესახებ ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

31 დეკემბერი 2022			
გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი	სესხები გაუფასურებამდე	მოსალოდნელი ზარალი, %	სესხები გაუფასურების შემდეგ
სესხები ინდივიდუალური გაუფასურების ნიშნის გარეშე	54,415,704	(2,604,853)	51,810,851
30 დღემდე გადაცილება	3,015,528	(387,387)	2,628,141
30–60 დღის ვადაგადაცილება	785,277	(205,858)	579,419
60–90 დღის ვადაგადაცილება	383,285	(145,279)	238,006
90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	3,304,227	(2,103,473)	1,200,754
რესტრუქტურირებული (90 დღეზე ნაკლები)	43,016	(6,049)	36,967
რესტრუქტურირებული (90 დღეზე მეტი)	52,392	(33,269)	19,123
სულ გაცემული სესხები	61,999,429	(5,486,168)	56,513,261

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

6. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

ორგანიზაციამ დააწესა შიდა პოლიტიკა უზრუნველყოფილ სესხებზე. სესხები უზრუნველყოფილია სატრანსპორტო საშუალებებით. უზრუნველყოფის შეფასება ხდება LTV კოეფიციენტის დახმარებით (მაქსიმუმი კოეფიციენტი არის 85% ეროვნული ბანკის მოთხოვნის მიხედვით).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	
	12 თვის	მოსალოდნელი	მოსალოდნელი	
	მოსალოდნელი	საკრედიტო	საკრედიტო	
	რისკი	ზარალების	ზარალების	
		სასიცოცხლო	სასიცოცხლო	
		ციკლი	ციკლი	
		არაგაუფასურებულ	გაუფასურებულ	
		სესხებზე	სესხებზე	სულ
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,998,207	351,219	2,136,742	5,486,168
გადასვლა ეტაპი 1-ზე	5,236	(4,327)	(909)	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(115,216)	116,295	(1,079)	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(1,646,443)	(362,972)	2,009,415	-
ახალი სესხების				
მოსალოდნელი საკრედიტო	2,775,727	259,068	651,401	3,686,196
ზარალი				
დაფარვები	(2,266,133)	(134,756)	(337,085)	(2,737,974)
ჩამოწერები	-	-	(929,463)	(929,463)
საკრედიტო რისკის				
ცვლილებით გამოწვეული	1,459,521	155,015	486,129	2,100,665
ცვლილებები				
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერს	3,210,899	379,542	4,015,151	7,605,592

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი სესხების მოძრაობა შემდეგია:

	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	სულ
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს	57,476,027	1,169,140	3,354,262	61,999,429
გადასვლა ეტაპი 1-ზე	92,560	(84,803)	(7,757)	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(370,590)	370,590	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(1,954,908)	(342,133)	2,297,041	-
ახალი გაცემული სესხები	155,396,245	-	-	155,396,245
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(849,320)	849,320	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(1,016,125)	-	1,016,125	-
წმინდა ცვლილება	307,666	33,153	342,155	682,974
დარიცხულ პროცენტში				
დაფარვები	(140,624,220)	(598,813)	(515,094)	(141,738,127)
ჩამოწერები	-	-	(1,392,047)	(1,392,047)
გადაფასება და სხვა	(116,600)	(165,280)	605,669	323,789
ცვლილება				
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერს	68,340,735	1,231,174	5,700,354	75,272,263

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

6. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა შემდეგია:

	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	
	12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო რისკი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სასიცოცხლო ციკლი არაგაუფასურებულ სესხებზე	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების სასიცოცხლო ციკლი გაუფასურებულ სესხებზე	სულ
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს	2,550,349	683,037	10,712,652	13,946,038
გადასვლა ეტაპი 1-ზე	30,239	(27,681)	(2,558)	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(79,115)	79,115	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(450,087)	(389,950)	840,037	-
ახალი სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	2,584,937	258,135	723,932	3,567,004
დაფარვები	(2,091,164)	(424,054)	(854,816)	(3,370,034)
ჩამოწერები	-	-	(9,442,378)	(9,442,378)
საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული ცვლილებები	453,048	172,617	159,873	785,538
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,998,207	351,219	2,136,742	5,486,168

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი სესხების მოძრაობა შემდეგია:

	1 ეტაპი	2 ეტაპი	3 ეტაპი	სულ
ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს	42,428,799	1,403,584	16,437,668	60,270,051
გადასვლა ეტაპი 1-ზე	107,673	(107,673)	-	-
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(303,540)	303,540	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(910,059)	(408,864)	1,318,923	-
ახალი გაცემული სესხები	139,566,425	-	-	139,566,425
გადასვლა ეტაპი 2-ზე	(858,196)	858,196	-	-
გადასვლა ეტაპი 3-ზე	(1,137,676)	-	1,137,676	-
წმინდა ცვლილება დარიცხულ პროცენტში	(318,088)	(34,938)	(147,150)	(500,176)
დაფარვები	(121,052,379)	(852,808)	(1,639,867)	(123,545,054)
ჩამოწერები	-	-	(14,409,642)	(14,409,642)
გადაფასება და სხვა ცვლილება	(46,932)	8,103	656,654	617,825
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს	57,476,027	1,169,140	3,354,262	61,999,429

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

7. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მიმდინარე მოგების გადასახადი	(2,046,051)	(1,842,368)
დროებითი სხვაობების ეფექტი	(1,291,416)	1,240,797
მოგების გადასახადის ხარჯი	(3,337,467)	(601,571)

დროებით სხვაობებში ცვლილებების საგადასახადო ეფექტი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მოგება დაბეგვრამდე	13,428,300	8,964,046
საგადასახადო განაკვეთი	20%	20%
თეორიული მოგების გადასახადი	(2,685,660)	(1,792,809)
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(651,807)	1,191,238
მოგების გადასახადის ხარჯი	(3,337,467)	(601,571)

დროებითი ცვლილებების საგადასახადო მოძრაობის ეფექტი წარმოდგენილია ქვევით მოცემულ ცხრილში და აღრიცხულია 20%-ით.

	ბალანსი 2021 წლის 31 დეკემბერს	გამოკლებული (დამატებული) შემოსავლების ანგარიშგებაში 2022 წელს	ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერს	გამოკლებული (დამატებული) შემოსავლების ანგარიშგებაში 2023 წელს	ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერს
დროებითი სხვაობები გამოწვეულია:					
გაცემული სესხებით	20,519	1,370,629	1,391,148	(1,391,148)	-
ძირითადი საშუალებებით	(17,577)	(64,629)	(82,206)	(8,182)	(90,388)
აქტივის გამოყენების უფლებს	(327,837)	(62,105)	(389,942)	(182,101)	(572,043)
საიჯარო ვალდებულებებით	325,301	(3,098)	322,203	187,848	510,051
სხვა ვალდებულებებით	-	-	-	102,167	102,167
გადავადებული საგადასახადო (ვალდებულება) აქტივი	406	1,240,797	1,241,203	(1,291,416)	(50,213)

არსებით გადავადებულ საგადასახადო აქტივებს ან ვალდებულებებს ან სხვა გადასახადებს რომლებიც აღიარებულია კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში არ აქვს ადგილი.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

8. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

ორგანიზაციის საიჯარო ხელშეკრულებები, რომელთათვისაც აღიარებულია აქტივების გამოყენების უფლება, მოიცავს სათაო და ფილიალების ოფისების იჯარებს. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ასევე აშშ დოლარში. იჯარის ხელშეკრულებების ვადა 5 წლამდეა, დისკონტის განაკვეთი კი განსაზღვრულია 7.21%-დან 14.53%-მდე.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
წლის დასაწყისში	1,949,709	2,185,582
ახალი იჯარა	1,674,602	604,197
იჯარის მოდიფიკაცია	-	56,736
იჯარის შეწყვეტა	-	(138,078)
ცვეთა	(764,096)	(758,728)
წლის ბოლოს	2,860,215	1,949,709

საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
წლის დასაწყისში	1,611,016	2,168,672
ახალი იჯარები	1,674,602	563,666
საპროცენტო ხარჯი	129,825	175,042
საიჯარო გადასახადი	(889,589)	(911,678)
იჯარის მოდიფიკაცია	-	56,736
იჯარის შეწყვეტა	-	(189,972)
გადაფასების ეფექტი	24,402	(251,450)
წლის ბოლოს	2,550,256	1,611,016

9. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება				
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	439,932	300,802	71,164	811,898
შემოსვლა	26,062	8,916	83,773	118,751
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	465,994	309,718	154,937	930,649
შემოსვლა	116,636	31,084	-	147,720
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	582,630	340,802	154,937	1,078,369
დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია				
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(273,898)	(137,641)	(6,997)	(418,536)
წლის ცვეთა	(45,213)	(44,079)	(11,790)	(101,082)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(319,111)	(181,720)	(18,787)	(519,618)
წლის ცვეთა	(54,247)	(40,138)	(12,419)	(106,804)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(373,358)	(221,858)	(31,206)	(626,422)
ნეტო საბალანსო ღირებულება				
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	146,883	127,998	136,150	411,031
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	209,272	118,944	123,731	451,947

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

10. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ორგანიზაციებმა გადასახადები უნდა გადაიხადონ გაერთიანებული საგადასახადო ანგარიშზე არსებული ნაშთის შესაბამისად, აღნიშნულის გამო 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია განაშთავი.

11. მიღებული და სუბორდინირებული სესხები

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ვალუტა	სესხის ძირი	დარიცხული პროცენტი
აფი 1*	NBG rate + 7.5%	27-მაი-25	ლარი	5,003,750	11,836
აფი 2*	NBG rate + 6.25%	1-ნოე-24	ლარი	500,000	647
აფი 2*	NBG rate + 6.5%	26-სექ-24	ლარი	4,000,000	8,438
ევროკრედიტ +	20%	26-იან-24	ლარი	194,266	3,274
სულ				9,698,016	24,195

*ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტი.

შემდეგ ცხრილში მოცემულია მიღებული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ვალუტა	სესხის ძირი	დარიცხული პროცენტი
აფი 1*	NBG rate + 7.5%	23-მაი-2023	ლარი	4,500,000	12,347
აფი 2*	NBG rate + 6.5%	26-სექ-2023	ლარი	4,000,000	9,589
ევროკრედიტ +	12%	26-იან-2024	დოლარი	493,331	681
სულ				8,993,331	22,617

*ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტი.

ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხების გირავნობაში ჩადებულია ორგანიზაციის სასესხო პორტფელი - აფი 1-სთვის 10,630,491 ლარი, ხოლო აფი 2-ისთვის 12,000,000 ლარი.

ინფორმაცია კოვენანტებთან დაკავშირებით გაშიფრულია მე-4 შენიშვნაში.

დასაშემდეგ ცხრილში მოცემულია სუბორდინირებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ვალუტა	სესხის ძირი	დარიცხული პროცენტი
ევროკრედიტ + (სუბ. 1)	20%	1-დეკ-24	ლარი	3,444,773	5,663
ევროკრედიტ + (სუბ. 2)	20%	1-დეკ-24	ლარი	3,444,773	5,633
ევროკრედიტ + (სუბ. 3)	20%	2-დეკ-26	ლარი	3,957,613	8,674
ევროკრედიტ + (სუბ. 4)	20%	1-ივნ-26	ლარი	3,830,827	111,345
ევროკრედიტ + (სუბ. 5)	20%	1-მაი-28	ლარი	2,581,347	216,409
სულ				17,259,333	347,724

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

11. მიღებული და სუბორდინირებული სესხები (გაგრძელება)

შემდეგ ცხრილში მოცემულია სუბორდინირებული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	ვალუტა	31 დეკემბერი 2022	
				სესხის ძირი	დარიცხული პროცენტი
ევროკრედიტ + (სუბ. 1)	12%	1-დეკ-24	დოლარი	3,536,120	4,650
ევროკრედიტ + (სუბ. 2)	12%	1-დეკ-24	დოლარი	3,536,120	4,650
ევროკრედიტ + (სუბ. 3)	12%	2-დეკ-26	დოლარი	4,062,560	5,343
ევროკრედიტ + (სუბ. 4)	12%	1-ივნ-26	დოლარი	3,932,411	5,171
ევროკრედიტ + (სუბ. 5)	12%	1-მაი-28	დოლარი	2,649,800	3,485
სულ				17,717,011	23,299

სუბორდინირებული სესხის ძირი გადაიხდება დასრულების თარიღისას, ხოლო სესხის პროცენტი ყოველთვიურად.

ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილი ცვლილებები მიღებულ და სუბორდინირებულ სესხებში, რომელიც მოიცავს, როგორც ფულად ასევე არაფულად ნაკადებს, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	2023	2022
წლის დასაწყისში	26,756,258	26,047,057
ფულადი მუხლები		
მიღებული სესხების ზრდა	3,372,929	13,677,076
გადახდილი ძირი	(2,654,970)	(10,107,657)
გადახდილი პროცენტი	(3,916,585)	(3,603,831)
არაფულადი მუხლები		
საპროცენტო ხარჯი	4,228,093	3,533,092
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	(456,458)	(2,789,479)
წლის ბოლოს	27,329,267	26,756,258

12. სხვა შემოსავლები

	2023	2022
შემოსავალი ჯარიმიდან	3,470,152	3,504,260
სესხების წინსწრებით დაფარვის საკომისიო	625,703	604,239
შემოსავალი პორტფელის გაყიდვიდან	498,567	-
სხვა შემოსავლები	58,916	72,983
	4,653,338	4,181,482

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა ანაზღაურება

	2023	2022
ხელფასები	(3,813,671)	(3,571,139)
ბონუსები	(936,234)	(334,797)
სხვა სარგებელი	(167,832)	(149,686)
	(4,917,737)	(4,055,622)

უმაღლესი მმართველი პირების ანაზღაურება იხილეთ მე-16 ნოტში.

14. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
მარკეტინგული ხარჯები	(1,401,925)	(1,389,152)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული სერვისის ხარჯები*	(575,611)	(381,513)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(462,250)	(551,452)
სესხების ამოღების ხარჯები	(408,000)	(431,168)
იურიდიული ხარჯები	(200,016)	(294,402)
საკომუნიკაციო ხარჯები	(175,357)	(171,676)
დასაკუთრებული ქონების რეზერვის ხარჯი	(174,838)	-
განაცხადების შემოწმების ხარჯები	(158,803)	(145,033)
დაცვის ხარჯები	(145,347)	(125,979)
კომუნალური ხარჯები	(119,253)	(125,033)
ოფისის ხარჯები	(95,555)	(98,719)
მივლინების ხარჯები	(89,919)	(97,813)
დასაკუთრებული მანქანების ხარჯები	(85,307)	(89,079)
საწვავის ხარჯები	(83,286)	(89,805)
გირავნობის საკომისიო	(51,385)	(52,515)
ბანკის საკომისიო	(33,192)	(65,368)
სხვა ხარჯები	(461,965)	(304,148)
	(4,722,009)	(4,412,855)

*საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურებები მოიცავს ფინანსური აუდიტის საფასურს 54,012 ლარის და 53,323 ლარის ოდენობით 2023 და 2022 წლებისთვის, შესაბამისად.

15. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა.

სასამართლო პროცესები ორგანიზაციის კლიენტების მიმართ, რომლებიც ვერ ახერხებენ სესხების დაფარვას

ორგანიზაციის კლიენტების მხრიდან სესხის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორგანიზაცია იწყებს სასამართლო დავას კლიენტის წინააღმდეგ. ასეთი დავის უმაღლესი შესაძლო შედეგი არის კლიენტისგან მისაღები სესხის თანხა (მოიცავს დარიცხულ პროცენტს და სხვა ხარჯებს).

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კლიენტის მიერ სასესხო ვალდებულების დაფარვა ხასიათდება განუსაზღვრელობით, ორგანიზაცია ქმნის ანარიცხს სესხების გაუფასურებისთვის, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ევრო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

15. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

მმართველობის ანგარიშგება

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მიხედვით (პუნქტი 7) ორგანიზაციას აქვს ვალდებულება მოამზადოს და სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოში წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა. ორგანიზაციამ მმართველობითი ანგარიშგება მოამზადა ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღში.

ფინანსურ კოეფიციენტებთან შესაბამისობა

ორგანიზაციას აქვს ფინანსური კოეფიციენტები ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე. ფინანსური კოეფიციენტების ვერ დაკმაყოფილებამ, შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის საქმიანობაზე, კერძოდ საპროცენტო განაკვეთის ზრდა და გაკოტრება.

ორგანიზაციამ ვერ დააკმაყოფილა ერთ-ერთი ფინანსურ კოეფიციენტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საპასუხოდ, ორგანიზაციამ მოიპოვა წერილი ფინანსური ინსტიტუტისგან, რომელშიც მითითებული იყო, რომ კოეფიციენტების დარღვევა არ გამოიწვევს სესხების ვადამდე დაფარვის მოთხოვნას 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები 2023 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

	ძირითადი მმართველი პირები	საწარმო ერთობლივი კონტროლის ქვეშ	სხვა
ფინანსური ანგარიშგების მუხლი			
მიღებული სესხები	-	197,540	-
სუბორდინირებული სესხები	-	17,607,056	-
საპროცენტო ხარჯი	-	(2,731,386)	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(479,541)	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	(757)	-	(408,000)

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები 2022 წლის 31 დეკემბრის საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

	ძირითადი მმართველი პირები	საწარმო ერთობლივი კონტროლის ქვეშ	სხვა
ფინანსური ანგარიშგების მუხლი			
მიღებული სესხები	-	494,012	-
სუბორდინირებული სესხები	-	17,740,310	-
საპროცენტო ხარჯი	-	(2,458,901)	-
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(328,197)	-	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	-	-	(431,000)

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დივიდენდები

2024 წლის იანვარში ჩატარდა დამფუძნებელთა კრება, რომლის მიხედვითაც გამოცხადდა და გაიცა დივიდენდი 1,000,000 დოლარის ოდენობით წილების პროპორციულად.

ობლიგაციების გამოშვება

2023 წლის 28 ნოემბერს საქართველოს ორგანიზაციამ ეროვნული ბანკის მიერ დადასტურებული საჯარო ემისიის პროსპექტის ფარგლებში გამოუშვა 10 მლნ აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების სავალო ფასიანი ქაღალდები. ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთი (კუპონი) განსაზღვრულია ფიქსირებული წლიური 9.5%-ით. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება წარმოადგენს 50,000 აშშ დოლარს.

ობლიგაციების ძირის დაფარვის ვადას წარმოადგენს 2027 წლის 1 დეკემბერი. ობლიგაციების საპროცენტო სარგებლის გადახდა კი ხდება 6 თვეში ერთხელ (1 ივნისს და 1 დეკემბერს) პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 30/360 დღის საფუძველზე.

დღევანდელი მდგომარეობით აღნიშნული თანხების რეალური განთავსება არ მომხდარა.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, ორგანიზაცია სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ორგანიზაცია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულებით

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილება შემდეგი ორი გარემოება:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- ორგანიზაცია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ორგანიზაციის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, გარდა დერივატივებისა.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას ორგანიზაციამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნეს მოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნეს მოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI-ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირითადი თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში.

ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისი მოგების მარჟასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, ორგანიზაცია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით. გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

ფასს 9-ის მიხედვით ორგანიზაცია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე.

მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. ორგანიზაცია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ორგანიზაცია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

დეფოლტის განსაზღვრება

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- ა) 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ბ) მსესხებლის ან თანამსესხებლის გარდაცვალება ან დაკარგვა;
- გ) ფორს მაჟორი, როდესაც კლიენტი ხდება გადახდის უუნარო გარე ფაქტორების გამო, რომელსაც ვერ ვაკონტროლებთ.

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შესახებ.

ორგანიზაცია დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაცია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალოზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ორგანიზაციის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუგვიანეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისას.

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

ორგანიზაცია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ორგანიზაციამ გამოავლინა და დაადოკუმენტირა პორტფელის საკრედიტო რისკისა და საკრედიტო ზარალების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორები, ისტორიული მონაცემების გამოყენებით, შეაფასა დეფოლტის ალბათობაზე მაკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა და ამოღების განაკვეთი.

გაანალიზდა შემდეგი მაკროეკონომიკური ფაქტორები:

- საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტი;
- ინფლაციის განაკვეთი;
- უმუშევრობის დონე;

ECL -ის გაზომვა

ECL -ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ორგანიზაცია იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას, სამი წლის საშუალო მონაცემებიდან მიგრაციის მატრიცის გამოყენებით ანგარიშდება პირველი წლის და ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ორგანიზაცია აფასებს LGD პარამეტრებს გადეფოლტებული სესხების ამოღების ისტორიის მიხედვით. LGD მეთოდი მოიცავს მხოლოდ ფულად ნაკადებს. LGD გაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორის სახით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებები

ორგანიზაციამ თავისი ფინანსური ვალდებულებები უნდა დააკლასიფიციროს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. ორგანიზაციამ 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9-ის მიღების თარიღი) ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

ორგანიზაციის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ორგანიზაციას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისას და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისათვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი/ ლარი
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2.7020

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

ფინანსური მდგომარეობის სხვა აქტივებში შემავალი გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. გაცემული სესხებისა და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ისტორიული ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
ოფისის აღჭურვილობა	5
სხვა	5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიღებული და სუბორდინირებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ორგანიზაცია აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სუბორდინირებული სესხები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომელსაც აქვს ყველაზე ნაკლები ძალა ფასიან ქაღალდებთან და სხვა სესხებთან შედარებით ორგანიზაციის აქტივების მოთხოვნაზე. აქედან გამომდინარე თუ მსესხებელი დეფოლტდება, სუბორდინირებული სესხები დაიფარება იმის შემდეგ რაც ორგანიზაცია ყველა სხვა ვალდებულებას დაფარავს სრულად.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი აქციებისა თუ ოფციონების გამოშვებასთან ნაჩვენებია კაპიტალში საგადასახადო გამოქვითვებით შემცირებული შემოსულობების სახით. ნებისმიერი ნამეტი თანხა, რომლითაც მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულება გადააჭარბებს ნომინალურ ღირებულებას, აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები ჩაიწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ის არის გამოცხადებული. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე გაიშიფრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

იჯარები

ორგანიზაცია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ორგანიზაცია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ორგანიზაცია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება; და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს; და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მოწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაციის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ორგანიზაცია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება 7 წლიან პერიოდზე.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ორგანიზაცია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ორგანიზაცია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო.
- გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ორგანიზაცია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღირიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. შემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ხელმძღვანელობა ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ორგანიზაციამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადის თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის ორგანიზაცია გადააფასებს აულიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული, როდესაც არის კანონიერი უფლება რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახადო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ორგანიზაციამ დასაქმებულისგან.

18. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები

ანარიცხი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიქმნება მიმდინარე ვალდებულება, რესურსების გადინება არის მოსალოდნელი და ვალდებულების ოდენობა შესაძლებელია შეფასდეს საიმედოდ.

ანარიცხის საუკეთესო შეფასება არის ის თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარად, ან ამ ვალდებულების მესამე მხარისთვის გადასაცემად ამ თარიღისათვის. განსაზღვრულია მოსალოდნელი კორექტირებული ფულადი ნაკადებისთვის შეწონილი ალბათობის გამოყენება, იმ მიზნით რომ ფულადი ნაკადების შეფასებებში აისახოს განუსაზღვრელობები და დისკონტირება, რათა მოხდეს ფულის დროითი ღირებულების ასახვა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.



სს „მისო ევრო კრედიტი“

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შესავალი

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სს „მისო ევრო კრედიტი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404919102) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში, საქართველოს კანონმდებლობებისა და დებულებების შესაბამისად. როგორც რეგისტრაციის, ასევე ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი, N11.

კომპანიას 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნდა აქტიური 11 ფილიალი.

კომპანია დაფუძნდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანო 2011 წლის 22 ნოემბერს, სხვადასხვა ტიპის სესხების გამცემად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი კომპანიამ მოიპოვა 2015 წლის 22 დეკემბერს, ხოლო სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნა 2018 წლის 25 დეკემბერს. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის წილობრივი მფლობელობა გადანაწილებულია შემდეგი პროპორციით:

Zuk China Stone Works Limited	75.51%
D. Mody Properties LTD	7.99%
Grenikasi Yosef Reuven	6.50%
Benish Meni	5.00%
Duenias Oren Abraham	3.00%
Duenias Eyal	2.00%

კომპანიის მმართველი ორგანო არის სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა - ამირამ შარაბი, ისრაელის მოქალაქე. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას მართავს კომპანიის დირექტორი - მიხეილ ნონიკაშვილი.



სს „მისო ევრო კრედიტის“ სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან:

1. თავმჯდომარე/წევრი: 0-5388748-5, 23326541, ამირამ შარაბი, ისრაელი,
2. თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 0-1136441-1, 39019543, ემილ ბუდილოვსკი, ისრაელი,
3. წევრი: 01017021203, მაია ხელაძე, საქართველო;

ინფორმაცია პროდუქტის შესახებ

კომპანია ევრო კრედიტი გასცემს უზრუნველყოფილ სესხებს. პროდუქტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 3 თვიდან 72 თვემდე, მოცულობა კი 1,500 დან 100,000 ლარის ჩათვლით. სესხის მაქსიმალურ ეფექტურ განაკვეთს 50% შეადგენს, სესხების უმრავლესობა მაქსიმალური საპროცენტი განაკვეთითაა გაცემული.

სესხების გაცემის რაოდენობისა და მოცულობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებებში.




გაცემული სესხების რეგიონალური განაწილების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილ გრაფიკებზე:


გაცემული სესხების რაოდენობა რეგიონების ჭრილობი



გაცემული სესხების მოცულობა რეგიონების ჭრილობი



გაცემული სესხების პროპორცია რეგიონების ჭრილში



მომხმარებელთა უფლებების დაცვა და ადამიანური რესურსები

სს „მისო ევრო კრედიტი“ პასუხისმგებლობით ეკიდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხს და მუდმივად ცდილობს გააუმჯობესოს, როგორც მომსახურების ხარისხი, ასევე ზოგადად მომხმარებელის კმაყოფილება. ამის გარდა, კომპანია ითვალისწინებს 2016 წლის 23 დეკემბერს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემულ ბრძანებას (N 151/04) „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განვითარების მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“.

კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის მთავარი ნაწილია, რომ მმართველი გუნდი დაკომპლექტებული იყოს მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე თანამშრომლებით. დეპარტამენტების მენეჯერების დანიშვნა უშუალოდ ხდება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად. სამუშაო დღეების, მივლინებებისა და შვებულებების ადმინისტრირება ხდება სპეციალური აპლიკაციის მეშვეობით.

სს “მისო ევრო ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია კომპანიის საკვანძო ფინანსური უწყისები (ლარში):

საბალანსო უწყისი

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,093,893	1,383,154	4,266,053
კლიენტებზე გაცემული სესხები	67,666,671	56,513,261	46,324,013
სხვა აქტივები	297,639	477,189	192,898
საგადასახადო აქტივი	-	-	-
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	1,241,203	406
აქტივის გამოყენების უფლება	2,860,215	1,949,709	2,185,582
ძირითადი საშუალებები	451,947	411,031	393,362
სულ აქტივები	73,370,365	61,975,547	53,362,314
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	776,903	331,281	269,430
საგადასახადო ვალდებულება	112,723	816,822	779,460
საიჯარო ვალდებულებები	2,550,256	1,611,016	2,168,672
მიღებული სესხები	9,722,211	9,015,948	8,707,190
სუბორდინირებული სესხები	17,607,056	17,740,310	17,339,867
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	50,213	-	-
სულ ვალდებულებები	30,819,362	29,515,377	29,264,619
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	1,000,000	1,000,000	1,000,000
გაუნაწილებელი მოგება	41,551,003	31,460,170	23,097,695
მთლიანი კაპიტალი	42,551,003	32,460,170	24,097,695
ვალდებულებები და კაპიტალი	73,370,365	61,975,547	53,362,314



მოგება ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება

	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	25,847,482	20,740,706
საპროცენტო ხარჯი	(4,355,015)	(3,708,134)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე	21,492,468	17,032,572
გაუფასურების ხარჯი	(2,616,669)	(5,847,897)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	18,875,798	11,184,675
სხვა შემოსავალი	4,653,338	4,181,482
ხელფასები და თანამშრომელთა ანაზღაურება	(4,917,737)	(4,055,622)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,722,009)	(4,412,855)
ცვეთა და ამორტიზაცია	(870,899)	(859,810)
მოგება / (ზარალი) გაცვლითი კურსის სხვაობისგან	409,809	2,926,176
მოგება დაბეგვრამდე	13,428,300	8,964,046
მოგების გადასახადის ხარჯი	(3,337,467)	(601,571)
სულ სრული შემოსავალი	10,090,833	8,362,475



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე	13,428,300	8,964,046
ცვლილებები:		
საპროცენტო შემოსავალი	(714,585)	(753,254)
საპროცენტო ხარჯი	438,430	104,304
სესხის გაუფასურების ხარჯი	2,616,669	5,847,897
ცვეთა და ამორტიზაცია	870,899	859,810
წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან	(409,809)	(2,926,176)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში ცვლილებამდე	16,229,904	12,096,627
მოძრაობა საბრუნავ საშუალებებში:		
გაცემული სესხები	(13,054,076)	(15,295,516)
სხვა აქტივები	179,550	(433,408)
საგადასახო აქტივები/ (ვალდებულებები)	(26,223)	20,811
სხვა ვალდებულებები	445,622	63,121
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვამდე	3,774,777	(3,548,365)
გადახდილი მოგების გადასახადი	(2,723,927)	(1,825,817)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,050,850	(5,374,182)
 ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(147,720)	(118,751)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(147,720)	(118,751)
 ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხების მიღება	3,372,929	13,677,075
სესხების გადახდა	(2,654,970)	(10,107,656)
საიჯარო ვალდებულებები	(889,589)	(911,678)
ტრანზაქციები დამფუძნებლებთან	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(171,630)	2,657,741
 წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	731,500	(2,835,192)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,383,154	4,266,053
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	(20,761)	(47,707)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	2,093,893	1,383,154

მთლიანი პორტფელის გადანაწილება ვადაგადაცილებული დღეების ჭრილში:



მოლიანი პორტფელის და პორტფელზე შექმნილ რეზერვზე ინფორმაცია:



კომპანიის შემოსავლების ძირითად ნაწილს წარმოადგენს გაცემული სესხებიდან მიღებული პროცენტები, ჯარიმები და საკომისიოები.

ქვემოთ მოცემულ გრაფაში მოცემულია კომპანიის ხარჯების გადანაწილება ხარჯების ტიპის შესაბამისად. მენეჯმენტი მომავალ საანგარიშგებო პერიოდებისთვის, მაქსიმალურად ეცდება, რომ მოახდინოს ხარჯების ოპტიმიზაცია და მაქსიმალურად ეფექტური გადანაწილება:

ხარჯის ტიპი	31/12/2023	31/12/2022
ხელფასი	3,813,671	2,860,840
სხვა დანარჩენი საგებელი თანამშრომლებს	1,104,066	1,194,782
იურიდიული ხარჯები 3	200,016	294,402
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი 1	1,401,925	1,389,152
მანქანების გადაყვანასთან დაკავშირებული ხარჯები 15	85,307	89,079
ოფისთან დაკავშირებული ხარჯები 12	95,555	98,719
განაცხადების შემოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები 8	158,803	145,033
პროგრამული უზრუნველყოფის და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხარჯები 2	462,250	551,452
საწვავის ხარჯები 10	83,286	89,805
მივლინების ხარჯები 13	89,919	97,813
სატელეკომუნიკაციო ხარჯები 7	175,357	171,676
კომუნალური მომსახურების ხარჯები 9	119,253	125,033
საბანკო მომსახურების ხარჯები 14	33,192	65,368
დაცვის ხარჯები 11	145,347	125,979
საკონსულტაციო ხარჯები 6	576,611	381,513
სხვადასხვა ხარჯები 16	461,965	304,148
ამოღების ხარჯები 4	408,000	431,168
გირავნობის ხარჯი 5	51,385	52,515
აქტივის გაუფასურების ხარჯი	174,838	-
ჯამში	9,640,746	8,468,477


საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდში სუბიექტის მიერ საკუთარი აქციების შეძენა არ მომხდარა.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ორგანიზაციის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების და პორტფელის მოძრაობა



წყარო : www.nbg.gov.ge

რა თქმა უნდა კომპანიის მომგებიანობის გეგმებზე საპროცენტო განაკვეთის ზღვარის დაწესება ნეგატიურად აისახა, მაგრამ იგი ნაწილობრივ დაბალანსებული იქნა გამკაცრებული შეფასების სისტემით. კომპანიის გუნდის შეფასებით, დადებით ფინანსური შედეგები ექნება იურიდიული დეპარტამენტის გარდაქმნას და გაეფუძეურებას, რომელიც ვადაგადაცდილებული თანხების ამოღებას შეძლებენ სასამართლოში ჩივილითა და აღსრულების იურიდიული მექანიზმებით.

კომპანიისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევა იყო სავალუტო რისკები, იქიდან გამომდინარე რომ, მოზიდული საკრედიტო სახსრები ძირითადად დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი), რომელთა კონვერტაციაც ეროვნულ ვალუტაში მოხდა 2023 წლის მე-3 კვარტალში, რის შედეგადაც მოხდა სავალუტო რისკების მინიმიზაცია (მოზიდული სახსრები 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით დენომინირებულია სრულად ეროვნულ ვალუტაში).

მომავალ საანგარიშგებო პერიოდისთვის იგეგმება ადგილობრივ და უცხოურ საფინანსო ინსტიტუტებთან მჭირლო ურთიერთობა, კომპანიის სტრატეგიის შესაბამისად სავალუტო რისკების ნაწილობრივი ან სრული ჰეჯირებით.

2022 წლის პირველი იანვრიდან კომპანიას ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად აქვს ვალდებულება, რომ წინასწარ განსაზღვრული კოეფიციენტით მეტი ლიკვიდური აქტივები ჰქონდეს, რაც ფაქტობრივად მინიმუმამდე ამცირებს ლიკვიდურობის სამომავლო რისკებს.

საქართველოს საკრედიტო ბაზარი საკმაოდ გაჯერებულია, მაგრამ ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებული რეგულაციები, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მცირე ზომის კომპანიებზე, რომლებიც ნელ-ნელა იძულებულნი ხდებიან გავიდნენ ბაზრიდან. აღნიშნული საკითხი ერთის მხრივ შეიძლება ჩაითვალოს დადებით ფაქტად. მაღალი კონკურენციის შესაბამისად, ძირითად თამაშის წესებს განსაზღვრავს ბაზარი და უახლოეს მომავალში მენეჯმენტის გადასახედიდან, ძირეული ცვლილებები არ არის მოსალოდნელი.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიას 2023 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოები.

არაფინანსური მაჩვენებლები

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ შიდა ადამიანურ რესურსებზე დაყრდნობით ჩაატარა ტრენინგები განვითარების და ტექნიკური ცოდნის ამაღლების კუთხით. ტრენინგების ძირითადი თემატიკა შეეხებოდა საოპერაციო სამუშაო პროგრამას (ალტა), მაიკროსოფტ ექსელის და გუგლ შიტებთან ეფექტურად მუშაობის და ცოდნის ამაღლებას. კომპანიის მენეჯმენტი გეგმავს, რომ ტრენინგები და ცოდნის ამაღლებისთვის განკუთვნილი აქტივობები მომავალშიც გააგრძელოს, როგორც შიდა ასევე გარედან მოწვეული გამოცდილი ტრენერების მეშვეობით. გარემოს დაცვის კუთხით, ორგანიზაციის საქმიანობა რისკის შემცველი არ არის.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

სს “ვერო კრედიტის”-ს სამომავლო გეგმები

კომპანიის გეგმაა, გახდეს ბაზრის ლიდერი, მინიმუმ სამ მოთამაშეში; გააგრძელოს პორტფელის ზრდა, რაც განპირობებული იქნება ასევე პროდუქტების დივერსიფიკაციით; დაწიოს გადაუხდელობის რისკები (სქორინგის მაქსიმალურად გაუმჯობესების ხარჯზე) და ადეკვატურად მოახდინოს რეგულატორის მიერ დადგენილ წესებთან თანხვედრა. ასევე მოახდინოს ნასესხების სახსრების დივერსიფიკაცია როგორც მსესხებლის ჭრილში, ასევე ვალუტის კუთხით (გაიზარდოს ლარში დენომინირებული ფონდების მოძიება). 2023 წლის დეკემბრიდან კომპანიამ მოახდინა 10 მლნ აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გამოშვება, საჯარო განთავსების გზით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ემისიის ფარგლებში არ მომხდარა თანხის მოზიდვა (ემისიის ფარგლებში თანხის მოსაზიდად განკუთვნილი პერიოდი შეადგენს 1 კალენდარულ წელს). ემისიის შედეგად მოზიდული სახსრები გამოყენებული იქნება კომპანიის მიერ შემდგომი დაკრედიტების განსახორციელებლად და მოხმარდება სასესო პორტფელის დაგენერირებას ან/და კომპანიის ვალდებულებების ნაწილობრივ დაფარვას.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება

ჩვენი პასუხისმგებლობაა ამ წლიური ანგარიშის წარდგენა არსებული და პოტენციური ინვესტორებისთვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მიწოდება. მიგვაჩნია, რომ წლიური ანგარიში და ფინანსური ანგარიში, მთლიანობაში, არის სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგები. იგი არსებულ და პოტენციურ აქციონერებს აწვდის აუცილებელ ინფორმაციას კომპანიის პოზიციისა და საქმიანობის, ბიზნესმოდელისა და სტრატეგიის შესაფასებლად.

ანგარიში შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტისა და ანგარიშგების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით. განცხადება მმართველობის საკითხებზე წინამდებარე ანგარიშის განუყოფელი ნაწილია. მასში აღწერილია კორპორაციული მართვის ძირითადი ასპექტები, მიმოხილულია მთავარი მიღწევები და გეგმები.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

2023 წლის 31 მდგომარეობით, სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისგან, მათ შორის ერთი დამოუკიდებელი წევრისგან. წევრის პერჩევა ეფუძნებოდა მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავებულ უნარ-შესაძლებლობების მატრიცას. ახალი წევრების ექსპერტიზა მოიცავს, მათ შორის, საბანკო და „ფინტექ“ სფეროებს.

უფლებამოსილებათა დელეგირება

უფლებამოსილებათა გეგმის შემუშავებისა და დამტკიცების შედეგად, საზედამხედველო და აღმასრულებელი ფუნქციების გაიჯნა გაიწერა და გამჭვირვალე გახდა. აღნიშნულმა უზრუნველყო სიცხადე თითოეული მმართველობითი ერთეულის ფუნქციების შესახებ, ძირითად კორპორაციულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. გადაწყვეტილების მიღების პროცესი შემუშავდა საუკეთესო საერთაშორისო კორპორაციული მართვის პრაქტიკის გათვალისწინებით.

სამეთვალყურეო საბჭოს ორგანიზაცია და მასალები

სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა წლიური დღის წესრიგი, რომელიც მოიცავს საბჭოს რეგულარულ გადაწყვეტილებებს და საბჭოს რესურსებისა და დროის მაქსიმალურ ოპტიმალურ გამოყენებას უზრუნველყოფს. აღნიშნულის შესაბამისად მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა ბიუჯეტურიების და შემდგომში აქტუალური მონაცემების ანალიზის პროცესი, რამაც საერთო ჯამში კიდევ უფრო მეტი ეფექტურობა შესძინა გადაწყვეტილებების მიღებას და შესაბამის სიახლეების დანერგვის პროცესებს.

კომიტეტები

2023 წლის ბოლოს, სამეთვალყურეო საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, როგორც მეტი ეფექტურობის გაზრდის, ასევე საქართველოს კანონდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სხვადასხვა მნიშვნელოვანი კომიტეტების ფორმირების შესახებ, როგორებიც არის:

- შიდა აუდიტის კომიტეტი;
- აქტივებისა და ვალდებულებების კომიტეტი;
- რისკების კომიტეტი;
- სტრატეგიული მართვის კომიტეტი;
- ადამიანური რესურსების, კომპენსაციისა და ანაზღაურების კომიტეტი;
- გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტი.

აღმასრულებელ გუნდს დაევა, აღნიშნული კომიტეტების ფორმირება 2024 წლის ბოლომდე მათი სამუშაო პროცესის განუყოფელ ნაწილად ქცევა.

სტრატეგია და პოლიტიკები

სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კორპორაციული სტრატეგიის შემუშავების შესახებ. აღნიშნულისთვის მოეწყო სპეციალური შეხვედრა სამეთვალყურეო საბჭოსა და გაფართოებული მმართველი გუნდის მონაწილეობით. შედეგად, 2024 წელი გამოყენებული იქნება გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, ასევე არსებული ძირეული პროცედურა-პოლიტიკების დასაყვენად და საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოსაყვანად.

ESG-ის განვითარება

აღნიშნული მიმართულების გასაძლიერებლად, 2023 წლის ბოლოს კომანიამ თანამშრომლობა დაიწყო „UN Global Compact Network Georgia“-თან. მათი ჩართულობით კომანია მუშაობას აგრძელებს „ESG“-ი სტრატეგიაზე, რომლის იმპლემენტაციაც განხორციელდება მიმდინარე წლის ბოლომდე.

შეფასება

სამეთვალყურეო საბჭო ჩაატარებს ყოველწლიურ თვითშეფასებას, რომლის ფარგლებშიც შეაფასებ თავმჯდომარის, საბჭოს და ცალკეული წევრების მუშაობას. შედეგები ეცნობება წევრებს და აისახება უნარ-შესაძლებლობების მატრიცასა და სამომავლო განვითარების გეგმაში. ყოველწლიური შეფასება გავრცელდება ასევე შიდა აუდიტის ხელმძღვანელსა და მმართველი გუნდის წევრებზე. შესაბამისი მეთოდი, პირველი შეფასება განხორციელდება 2024 წლის ბოლოს, მესამე კვარტლის დასრულების შემდეგ.

გეგმები

კორპორაციული სტრატეგიის დამტკიცების შესაბამისად, საბჭოს ახალი პრიორიტეტია აღმასრულებელი გუნდის შესაძლებლობებისა და კომპეტენციების შეფასება, მენეჯმენტის კრიტიკულ პოზიციებზე პროფესიონალი კადრების დაქირავება, ისე როგორც მთელი ორგანიზაციისათვის შედეგების მართვის ადეკვატური მექანიზმის შედგენა.

„ევრო კრედიტს“ ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელსაც კომპანიის გრძელვადიანი წარმატების კოლექტიური პასუხისმგებლობა აკისრია. სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისგან, მათ შორის, ერთი დამოუკიდებელი წევრი და ინვესტორის ორი წარმომადგენელი. წევრებს აქვთ ბიზნესის განვითარების, კორპორაციული მართვის, კორპორაციული ფინანსების, საბანკო საქმის/მიკროფინანსირების, ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და ადამიანური რესურსების განვითარების მდიდარი გამოცდილება.

საბჭოსა და თავმჯდომარის ფუნქციები ცალსახად გამიჯნულია მმართველი გუნდის პასუხისმგებლობებისაგან. თავმჯდომარე პასუხისმგებელია საბჭოს ხელმძღვანელობისა და მისი საქმიანობის ყველა ასპექტის ეფექტიანობისათვის. დღევანდელი მდგომარეობით კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა - მაიკლ კაგანოვიჩი (ამ ეტაპზე მოლოდინის რეჟიმშია რეგულატორის მიერ ბატონი მაიკლის დანიშვნა აღნიშნულ თანამდებობაზე). თავმჯდომარეს ირჩევენ აქციონერები და იგი ანგარიშვალდებულია მათ წინაშე. თავმჯდომარის საქმიანობას, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ჩატარებული საქმიანობის შეფასების საფუძველზე, აფასებენ კომპანიის აქციონერები; საბჭოს რეკომენდაციით, აქციონერები ამტკიცებენ თავმჯდომარის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და მის ნებისმიერ ცვლილებას.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს დეტალურ ყოველთვიურ ანგარიშს კომპანიის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, მათ შორის, ფინანსური ანგარიშგების მოგება-ზარალის და საბალანსო უწყისებს. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო განიხილავს კვარტალურ ანგარიშს რისკების შესახებ. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად ახორციელებს კომპანიის წლიური სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგს. სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი დანიშნულებაა კომპანიის ეფექტიანი მართვისა და ზედამხედველობის უზრუნველყოფა; სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეეხება სტრატეგიულ საკითხებს, კომპანიის ზოგად სტრუქტურას, საბჭოს დონეზე არსებულ სტრატეგიებს, ფართომასშტაბიან პროექტებს, მმართველი რგოლის მენეჯერების შეფასებასა და მოტივაციას, წლიური სტრატეგიული გეგმების დამტკიცებას, ფინანსურ პროგნოზებს, აქციონერებისათვის ისეთი სამოქმედო გეგმის შეთავაზებას, როგორებიცაა: დივიდენდების გაცემა, ცვლილება საბჭოს შემადგენლობაში და ა.შ.

„ევროკრედიტის“ კორპორაციული მართვა ხელს უწყობს კომპანიის მისიისა და გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელებას. სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციაა უზრუნველყოს კორპორაციული სტრატეგიის ყოველწლიური შეფასება და მომავალი წლის სტრატეგიულ გეგმებში მიზნების ასახვა. მენეჯერული რგოლის თანამდებობის წარმომადგენლებს შესასრულებლად განესაზღვრება ძირითადი და მეორეხარისხოვანი სტრატეგიული ამოცანები, რომლებიც მათი ცვლადი კომპენსაციის მნიშვნელოვანი საფუძველია. შედეგად, აღნიშნული ამოცანები გადაეცემა ბიზნეს ან სტრუქტურულ ერთეულებს (დეპარტამენტებს), რომლებიც სამოქმედო გეგმებად გარდაიქმნება და იზომება შესრულების შეფასების მთავარი ინდიკატორებით. ეფექტიანი კორპორაციული მართვის მიზანია, საბჭომ უზრუნველყოს „ევროკრედიტის“ მიერ მომხმარებელთა ინტერესებზე მორგებული და ადამიანებზე ორიენტირებული მიდგომების შენარჩუნება. ამ მიზნით საბჭო ახორციელებს მომხმარებელთა კმაყოფილებისა და თანამშრომელთა ჩართულობის კვლევას.

სამომავლოდ, „გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის კომიტეტი“ ყოველწლიურად განიხილავს და შეაფასებს სოციალური გავლენის ხარისხს. კომპანიას დანერგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტის მართვის მკაცრი პოლიტიკა, რომელიც რეგულირდება სამეთვალყურეო საბჭოს წესებით, პროცედურებით და თანამშრომელთა ეთიკის კოდექსით. „ევროკრედიტი“ მოწოდებულია, მაქსიმალურად შეუსაბამოს თავისი კორპორაციული მართვის სისტემის მოდელი საქართველოს კანონმდებლობასა და საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებს.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

მაიკლ კაგანოვიჩი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (ამ ეტაპზე მოლოდინის რეჟიმშია რეგულატორის მიერ ბატონი მაიკლის დანიშვნა აღნიშნულ თანამდებობაზე). მაიკლ კაგანოვიჩს „ფინტექ“ სექტორში 22 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. წლების განმავლობაში, არა ერთ საერთაშორისო კომპანიაში იკავებდა მენეჯმენტის თანამდებობებს, კერძოდ აღმასრულებელი ფინანსური და საოპერაციო დირექტორის, ასევე ბუღალტრული მენეჯერის თანამდებობებს. მაიკლ კაგანოვიჩს დამთავრებული აქვს ისრაელის ბიზნესის მართვის კოლეჯი და ამავე კოლეჯიდან ფლობს მაგისტრის ხარისხს ბიზნეს ადმინისტრირებაში.

მაია ხელაძე - სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. მაია ხელაძეს ფინანსურ სექტორში 25 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. წლების განმავლობაში, იგი იკავებდა სხვადასხვა თანამდებობას, მათ შორის, ბიზნეს განვითარების დირექტორის, საბანკო ბარათების სამმართველოს უფროსის, ციფრული არხების განვითარებისა და სერვისის მხარდაჭერის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას. მაია ხელაძე ფლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ბაკალავრსა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს. ამჟამად, იგი წარმოადგენს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტობის კანდიდატს. მისი პროფესიული საქმიანობის პარალელურად, მაია ხელაძე ეწევა აკადემიურ საქმიანობას, და გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მონველი ლექტორი და ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი.

შაი შალომი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. შაი შალომი „ფინტექ“ სექტორში 10 წელზე მეტი გამოცდილება აქვს. წლების განმავლობაში, სატელეკომუნიკაციო და ვაჭრობის სფეროში იკავებდა მენეჯმენტის თანამდებობებს, კერძოდ აღმასრულებელი მენეჯერის, საოპერაციო დირექტორის, ასევე მარკეტინგისა და პროექტის მენეჯერის თანამდებობებს. შაი შალომს დამთავრებული აქვს ისრაელის ღია უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის და ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა.

მმართველი გუნდი

აღმასრულებელი დირექტორი - მიხეილ (მიშა) ნონიკაშვილი:

მიშა ნონიკაშვილი 2018 წლიდან კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას იკავებს. მას აქვს მენეჯმენტში მუშაობის 17 წლიანი გამოცდილება სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტში. მიშა ფლობს IE Business School-ის (მადრიდი) მაგისტრის ხარისხს და ამჟამად არის კავკასიის ბიზნეს სკოლის დოქტორის ხარისხის კანდიდატი მენეჯმენტის მიმართულებით.

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე - ირაკლი წურწუშია

ირაკლი წურწუშია 2023 წლიდან აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის პოზიციას იკავებს კომპანიაში, სადაც გადაინაცვლა საოპერაციო დირექტორის პოზიციიდან. პარალელურად, მცირე და საშუალო მენარმეობის განვითარების ასოციაცია SMEDA - ს რეგიონალური განვითარების კომიტეტის თავმჯდომარეა, 2023 წლიდან არის აკრედიტებული კერძო და სასამართლო მედიატორი.

ირაკლის 20 წლიანი გამოცდილება აკავშირებს საბანკო და საფინანსო სექტორთან.

წამყვან პოზიციებს იკავებდა სხვადასხვა მიკროსაფინანსო, ფინტექ და სალიზინგო ორგანიზაციებსა და ბანკებში, როგორიც არის ფინტექ სტარტაპი „ლენდო“, სალიზინგო კომპანია „მოგო“, „ბითიფი“ ბანკი, „თიბისი“ ბანკი, „ლიბერთი“ ბანკი და „პროკრედიტ“ ბანკი. ამჟამად არის Grenoble Ecole De Management - ის მაგისტრანტი.

ფინანსური დირექტორი - ირაკლი გურგენიძე

ირაკლი გურგენიძე 2023 წლის სექტემბრიდან იკავებს კომპანიის ფინანსური დირექტორის პოზიციას. ასევე, 2019-2021 წლებში იყო კომპანიის ფინანსური ანალიტიკის და რეპორტირების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მას აქვს მენეჯმენტში მუშაობის 7 წლიანი გამოცდილება და ამავდროულად 12 წლიანი გამოცდილება სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში. ირაკლი ფლობს კავკასიის უნივერსიტეტისა და ჯორჯიის შტატის უნივერსიტეტის ბაკალავრის ორმაგ ხარისხს ბიზნეს ადმინისტრირებაში, ფინანსების განხრით. ირაკლი ამჟამად არის CFA-ს სასერტიფიკატო კურსის სტუდენტი.

საოპერაციო დირექტორი - სალომე გიორგბერიძე

სალომე გიორგბერიძე 2019 წლიდან შემოუერთდა ევროკრედიტის გუნდს, როგორც გაყიდვების მიმართულების ხელმძღვანელი. საფინანსო სფეროში მისი გამოცდილება ითვლის 17 წელს. ფლობს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხს ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით და ESM - ის ბიზნეს სკოლის ბაკალავრის ხარისხს ზოგადი მენეჯმენტის მიმართულებით.

რისკების დირექტორი - უჩა ბერიშვილი

უჩა ბერიშვილი იკავებს კომპანიის რისკების დირექტორის პოზიციას. 2014 - 2016 წლებში კომპანიაში იყო ჯგუფის უფროსი, დაკრედიტების მიმართულებით, 2016-2018 წლებში ბექ-ოფისის მიმართულების ხელმძღვანელი. მას საფინანსო სექტორში აქვს 14 წლიანი გამოცდილება. უჩა ამჟამად არის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხის კანდიდატი ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით.

მთავარი აუდიტორი - ეკატერინე ჩუგუნაძე

ეკატერინე ჩუგუნაძე 2019 წლიდან შემოუერთდა ევროკრედიტის გუნდს და ის კომპანიის მთავარი აუდიტორია. საფინანსო სექტორის აუდიტის მიმართულებით 17 წელია მუშაობს, კომპანია EY-ში დაწყებული გარე აუდიტისა და შემდგომში ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში გაგრძელებული შიდა აუდიტის გამოცდილებით. ეკატერინე კავასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ბაკალავრის ხარისხს ფლობს ბიზნეს ადმინისტრირებაში, ფინანსების განხრით და ერთადერთი გლობალურად აღიარებული შიდა აუდიტის სერტიფიკაციის, CIA-ის (Certified Internal Auditor) ბოლო, მესამე დონის კანდიდატია.

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

სს „მისო ევრო კრედიტი“ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 15 მაისს, შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მიხეილ ნონიკაშვილი

ხელმოწერა: _____

სს „მისო ევრო კრედიტი“ (ს/კ 404919102)

საოპერაციო დირექტორი - სალომე გიორგბერიძე

სალომე გიორგბერიძე 2019 წლიდან შემოუერთდა ევროკრედიტის გუნდს, როგორც გაყიდვების მიმართულების ხელმძღვანელი. საფინანსო სფეროში მისი გამოცდილება ითვლის 17 წელს. ფლობს თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხს ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით და ESM - ის ბიზნეს სკოლის ბაკალავრის ხარისხს ზოგადი მენეჯმენტის მიმართულებით.

რისკების დირექტორი - უჩა ბერიშვილი

უჩა ბერიშვილი იკავებს კომპანიის რისკების დირექტორის პოზიციას. 2014 - 2016 წლებში კომპანიაში იყო ჯგუფის უფროსი, დაკრედიტების მიმართულებით, 2016-2018 წლებში ბექ-ოფისის მიმართულების ხელმძღვანელი. მას საფინანსო სექტორში აქვს 14 წლიანი გამოცდილება. უჩა ამჟამად არის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მაგისტრის ხარისხის კანდიდატი ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით.

მთავარი აუდიტორი - ეკატერინე ჩუგუნაძე

ეკატერინე ჩუგუნაძე 2019 წლიდან შემოუერთდა ევროკრედიტის გუნდს და ის კომპანიის მთავარი აუდიტორია. საფინანსო სექტორის აუდიტის მიმართულებით 17 წელია მუშაობს, კომპანია EY-ში დანაშაულები გარე აუდიტისა და შემდგომში ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში გაგრძელებული შიდა აუდიტის გამოცდილებით. ეკატერინე კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ბაკალავრის ხარისხს ფლობს ბიზნეს ადმინისტრირებაში, ფინანსების განხრით და ერთადერთი გლობალურად აღიარებული შიდა აუდიტის სერტიფიკაციის, CIA-ის (Certified Internal Auditor) ბოლო, მესამე დონის კანდიდატია.

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

სს „მისო ევრო კრედიტი“ 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 15 მაისს, შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

მიხეილ ნონიკაშვილი

ხელმოწერა:



სს „მისო ევრო კრედიტი“ (ს/კ 404919102)